RDFG
for a better future

საინფორმაციო ბიულეტენი დეკემბერი 2019 - იანვარი 2020

PG. 2-3

საგრანტო თანხა სამეწარმეო ბიზნეს იდეის განსახორციელებლად – ახალგაზრდული პროექტის კიდევ 5 გამარჯვებული გამოვლინდა

PG. 3-4

GALAG ELARD-ის წევრი გახდა – ისტორიული მოვლენა პორტუგალიის ქალაქ ამარანტეში

PG. 5-6

RDFG იწყებს პროფესიული განათლებისა და კარიერული ზრდის პროექტს

PG. 6

RDFG-სთან არსებული DRR ცენტრის ორგანიზებით, შეხვედრა გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან

PG. 6

ჩეხეთის გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების პრაქტიკის გაზიარება თეთრიწყაროს მდგრადი განვითარებისათვის

PG. 8

RDFG-ის DRR ცენტრი სამიზნე მუნიციპალიტეტებში საგანგებო მართვის გეგმებზე მუშაობას განაგრძობს

საგრანტო თანხა სამეწარმეო ბიზნეს იდეის განსახორციელებლად – ახალგაზრდული პროექტის კიდევ 5 გამარჯვებული გამოვლინდა

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | პროექტი ზრდა საქართველოში ZRDA ACTIVITY IN GEORGIA | Chemonics Development works here.

2019 წლის 14 დეკემბერს, რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის მეორე ფაზის დახურვის ცერემონია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში (GITA) გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, საგრანტო კომისიამ წარმოდგენილი სამეწარმეო ბიზნეს იდეები შეაფასა, რის შემდეგაც გამარჯვებული 5 პროექტი საგრანტო თანხით დააჯილდოვა. პროექტს ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) USAID ზრდა პროექტის ფარგლებში ახორციელებს და მისი მიზანია მეწარმეობის მეშვეობით სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება.

პროექტის მეორე ფაზის გამარჯვებულები არიან:

- თამაზ მცურავიშვილი კასპიდან – რკინის ჭედური ნაკეთობების სახელოსნო ‘რკინის კაცი’ – 10 000 ₾
- დიმიტრი ჩიჩუა კასპიდან – ელექტრო მომსახურების ცენტრი Ready to Light – 5 000 ₾
- მარი ტატუნაშვილი ბოლნისიდან – ფრჩხილის მოვლის სალონი – 3 700 ₾
- ირაკლი მოგელაშვილი გორიდან – ვაშლის ძმრის წარმოება – 6 400 ₾
- მიშა ჩხოლარია ზუგდიდიდან – ერთიანი ონლაინ პლატფორმა ‘რა ვაჩუქო’ – 9 835 ₾

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტი 9 სამიზნე მუნიციპალიტეტში ხორციელდება: ზუგდიდი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, კასპი და გორი. პროექტის მონაწილეებს ბიზნეს იდეების წარდგენა 4 მიმართულებით ევალებათ: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაცია/ტექნოლოგიები ან შემოქმედებითი ინდუსტრიები. პროექტის მესამე ფაზა 2020 წლის გაზაფხულზე დაიწყება.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის მხარდამჭერები არიან: აწარმოე საქართველოში, შემოქმედებითი საქართველო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, კრისტალი, საქართველოს ეროვნული ბანკი და თიბისი ბანკი.

GALAG ELARD-ის წევრი გახდა – ისტორიული მოვლენა პორტუგალიის ქალაქ ამარანტეში

2019 წლის "ევროპის LEADER ასოციაციის სამხარეო განვითარებისთვის" (ELARD) ყოველწლიური შეხვედრა ისტორიული აღმოჩნდა საქართველოსთვის, რადგან დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაცია (GALAG) ELARD-ის წევრი გახდა. აღნიშნული ქალაქ ამარანტეში გამართულ LEADER /CLLD 2019 კონფერენციაზე გაცხადდა. საქართველოს მხრიდან, ღონისძიებას დაესწრნენ თეთრიწყაროს, ახალქალაქის, ყაზბეგის, წყალტუბოსა და ქედას ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAGs) და ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და ფიფლ ინ ნიდ საქართველოს (PIN) წარმომადგენლები.

RDFG-იმ, განმახორციელებელი პარტნიორებისა და LAG-ების სახელით, GALAG გენერალურ ასამბლეას ოფიციალურად წარუდგინა და სიმბოლურად ითხოვა ამ უკანასკნელის მოთხოვნის დაკმაყოფილება ELARD-ის წევრად აღიარებაზე. RDFG-ის თავმჯდომარემ, ვანო გრიგოლაშვილმა GALAG-ის აქტივობების შესახებ ისაუბრა და ხაზი გაუსვა ლიდერ (LEADER) მიდგომის მნიშვნელობას საქართველოს სოფლის განვითარების პროცესში:

„მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, ქართულმა ადგილობრივი განვითარების ჯგუფებმა და მათმა ქსელმა ძალიან მცირე დროში საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს და ამგვარად, დაამტკიცეს მოდელის ეფექტიანობა საქართველოს სოფლის განვითარებისათვის. GALAG-ის ELARD-ში გაწევრიანება ძალიან სიმბოლურია საქართველოს სწრაფვის გათვალისწინებით, დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ მდგომარეობას ევროპული ერების ოჯახში".

ELARD-ის შეხვედრა 2019 წლის 25 ნოემბერს მონაწილეთა ვორქშოფებით დაიწყო თემაზე LEADER/CLLD-ის განხორციელების ხელოვნების მდგომარეობა და შემდგომი პროგრამული პერიოდის მომზადება წევრ სახელმწიფოებში; მომდევნო დღე LEADER/CLLD 2019 კონფერენციას მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში, RDFG-ის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ვორქშოფში თემაზე – LEADER/CLLD გამოწვევები და შესაძლებლობები 2020 წლის შემდგომ პერიოდში. პანელურ დისკუსიაში, რომელიც ღონისძიების ძირითად პრეზენტაციას შეეხებოდა, მონაწილეობა მიიღეს ევროკომისიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გენერალური დირექტორატის წარმომადგენელმა – სილვია მიჩელინიმ, რეგიონული და ურბანული პოლიტიკის გენერალური დირექტორატის წარმომადგენელმა – მერია ჰაპაკამ და დასაქმების, სოციალური საკითხებისა და ჩართულობის გენერალური დირექტორატის წარმომადგენელმა – ანდრეა ლერუსტემ. გენერალური ასამბლეის შემდეგ, ELARD-ის ახალი პრეზიდენტი მარია ჟუაუ ბოტელო (პორტუგალია) და ორი ვიცე-პრეზიდენტი – კრისტინა ტამეტსი (ესტონეთი) და მერიონ ეკარდი (შვედეთი) აირჩიეს.

ELARD-ის ახლადარჩეული წევრი საქართველოდან – GALAG მხარდაჭერილია ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის – ENPARD მიერ. ის აერთიანებს ბორჯომის, ლაგოდეხის, ყაზბეგის დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროს, ახალქალაქის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ლაგებს. ეს გახლავთ არხი ინფორმაციის გაცვლის, ქვეყნის მასშტაბით სწავლისა და ადგილობრივი თემის ხელმძღვანელობით მიმდინარე განვითარების პროცესის ადვოკატირებისათვის, რომელშიც ჩართულია სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორი. GALAG ხელს უწყობს ინტეგრირებულ, ერთობლივ და მდგრად განვითარებას საქართველოში.

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD
USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
პროექტი ზრდა საქართველოში ZRDA ACTIVITY IN GEORGIA
Chemonics Development works here.

RDFG იწყებს პროფესიული განათლებისა და კარიერული ზრდის პროექტს

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) იწყებს პროფესიული განათლებისა და კარიერული ზრდის პროექტს, რომლის მიზანია სოფლად მცხოვრებ 14-დან 18 წლამდე სკოლის მოსწავლეებს (სულ მცირე 350 ახალგაზრდა) აუმაღლოს ცნობიერება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული წინსვლის შესახებ – დაეხმაროს მათ საგანმანათლებლო, სასწავლო და პროფესიული არჩევანის გაკეთებასა და კარიერის მართვაში. პროექტი ხორციელდება USAID ზრდა პროექტისა და ევროკავშირის ENPARD პროგრამის ფარგლებში და მხარდაჭერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებია: თეთრიწყარო, ბოლნისი, მარნეული, ნინოწმინდა, ბორჯომი, ადიგენი, ასპინძა, კასპი, გორი და ზუგდიდი.

პროექტის შედეგები

- პროფესიული განათლებისა და კარიერული ზრდის ტრენინგის შედეგად, ბენეფიციარს ექნება ცოდნა იმისათვის, რომ თავად მიუსადაგოს თავისი უნარები ამა თუ იმ პროფესიას;
- პროექტის აქტივობები ხელს შეუწყობს განათლებასა და დასაქმების ბაზარს შორის მყარი კავშირის ჩამოყალიბებას;
- პროექტის აქტივობები ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფო რეფორმის განვითარებას პროფესიული განათლების მიმართულებით;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერულ წინსვლის საუკეთესო მაგალითების გაზიარება, მათი მისადაგება საქართველოს კონტექსტისათვის და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს 6 რეგიონის (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი) 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

RDFG-სთან არსებული DRR ცენტრის ორგანიზებით, შეხვედრა გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | პროექტი ზრდა საქართველოში ZRDA ACTIVITY IN GEORGIA | Chemonics Development works here.

2019 წლის 10 დეკემბერს, ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და მასთან არსებული კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრის (DRR Center) ორგანიზებით, სამუშაო-გაცნობითი შეხვედრა გაიმართა ბორჯომის მერ ლევან ლიპარტიასთან და მერიის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში USAID-ის ზრდა პროექტის ფარგლებში შერჩეულ რეგიონებში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული აქტივობებისა და სამომავლო გეგმების განხილვა. შეხვედრას უძღვებოდა RDFG-ის საგანგებო სიტუაციების მართვისა და კატასტროფის რისკის შემცირების ექსპერტი შოთა კუბლაშვილი.

შეხვედრაზე იმსჯელეს ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რისკების შესახებ და მუნიციპალურ დონეზე მათი მართვის გეგმის შემუშავებაზე. ღონისძიების ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა შემდგომი თანამშრომლობისა და მათი რესურსებიდან გამომდინარე, სრული მხარდაჭერისა და მობილიზების სურვილი გამოთქვეს.

ჩეხეთის გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების პრაქტიკის გაზიარება თეთრიწყაროს მდგრადი განვითარებისათვის

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD

Visegrad Fund

2020 წლის 20-26 იანვარს, პროექტის „ვიშეგრადის სოფლის განვითარების გამოცდილება მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში, ასოციაციამ სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) პროექტის პარტნიორ „ბუნების დაცვის ფორუმს“ (Fórum Ochrany Přírody) უმასპინძლა. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საგრანტო პროექტის მონაწილეებს ტექნიკური დახმარება ორ ფაზად გაუწიეს.

პირველი ფაზის ფარგლებში, ბოლო საგრანტო კონკურსით შერჩეულ აპლიკანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვირტუალური კონსულტაცია მიეღოთ. აღნიშული მოიცავდა პროექტების გაძლიერების მხარდაჭერას, კონკრეტულად კი, ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილებისა და ცოდნის დანერგვას, ასევე, ინფორმაციის გაზიარებას თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი პროექტების აღმოსავლეთ პარტნიორობისა ან/და ვიშეგრადის ქვეყნების ინიციატივებისათვის დაკავშირება.

<u>აქტივობის შედეგები:</u>

- განხილულ იქნა 7 აპლიკანტი და გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.
- აღნიშნულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ჩატარდა 7 ვირტუალური კონსულტაცია.

ტექნიკური დახმარების მეორე ფაზის ფარგლებში, განხილულ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგრანტო პროექტების გრძელვადიანი მდგრადობა და წარმატება. კონსულტაციები ასევე მოიცავდა ვიზიტებს მონიტორინგის მიზნით.

<u>აქტივობის შედეგები:</u>

- 7 საველე ვიზიტი წინასწარ შერჩეული პროექტების გასაცნობად.
- აპლიკანტებთან შეხვედრა და კოსნულტაცია პროექტის განაცხადის დასახვეწად.
- მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა RDFG-ის გუნდისათვის.

„ბუნების დაცვის ფორუმი“ (Fórum Ochrany Přírody) არის ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაცია გარემოს დაცვისა და სოციალური განვითარების მიმართულებით ჩეხეთის რესპუბლიკაში. ისინი უზრუნველყოფენ სივრცეს დიალოგისათვის, უზიარებენ რა სხვებს ცოდნას და ეძებენ ბუნების დაცვისათვის საჭირო გადაწყვეტილებებს. ორგანიაზაციასა და მისი გუნდს აქვს ფართო გამოცდილება გარემოს დაცვისა და მცირე პროექტების დაგეგმვა/განხორციელების მიმართულებით.

პროექტის ვიშეგრადის სოფლის განვითარების გამოცდილება მდგრადი განვითარებისათვის მიზანია თეთრიწყაროს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მეშვეობით, ბუნების დაცვის გზით, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმისგან ეკონომიკური სარგებლის გაზრდის მიზნით. პროექტი არის ევროკავშირის ENPARD პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ შემავსებელი კომპონენტი.

RDFG-ის DRR ცენტრი სამიზნე მუნიციპალიტეტებში საგანგებო მართვის გეგმებზე მუშაობას განაგრძობს

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | პროექტი ზრდა საქართველოში ZRDA ACTIVITY IN GEORGIA | Chemonics Development works here.

ასოციაციასთან სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) არსებული კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრი, USAID ზრდა პროექტის ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებში კატასტროფის რისკების შესამცირებლად საგანგებო მართვის გეგმებზე მუშაობას განაგრძობს. ამ მიზნით, 2020 წლის იანვარში RDFG-ის საგანგებო სიტუაციების მართვისა და კატასტროფის რისკის შემცირების ექსპერტი, შოთა კუბლაშვილი შეხვდა ადიგენისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლებს.

2020 წლის 23 იანვარს, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ქალაქ ადიგენის მერთან ზაქარია ენდელაძესთან. ღონისძიების ფარგლებში, საუბარი შეეხო RDFG-ის DRR ცენტრის სამომავლო გეგმებს და ორგანიზაციის ზოგადი საქმიანობის სფეროს, ასევე, USAID ზრდა პროექტის ფარგლებში სხვა მუნიციპალიტეტებში უკვე განხორციელებულ აქტივობებს კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით.

ადიგენის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა შემდგომი თანამშრომლობისა და მათი ამჟამინდელი რესურსებიდან გამომდინარე, სრული მხარდაჭერისა და მობილიზების სურვილი გამოთქვეს. ამასთან, დაიგეგმა რისკების შეფასების შეხვედრაც. ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე – პაატა კბილაშვილი, ადიგენის სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსი – ლევან ხაჭაპურიძე და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი – ნონა ჭიჭინაძე.

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG)

კონტაქტი

0322 24 05 01

info@rdfg.ge

www.rdfg.ge

https://www.facebook.com/WWW.RDFG.GE/

https://www.linkedin.com/company/rdfg---rural-development-for-future-georgia

გაბრიელ ისაკაძის ქ. 4, საქართველო, თბილისი 0160